

სამხრეთის კარიბჭე

ხე-ტყის ლიცენზიების საკითხს სასამართლო გადაწყვეტს

თამუნა უჩიძე, ახალციხე
16.06.2008

„მწვანე ალტერნატივა“ და საქართველოს სახალხო დამცველი 2007 წლის პირველ მაისს აუქციონის შედეგად გაცემული ხე-ტყის დამზადების ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების გაუქმებას მოითხოვენ.

ახალციხის სატყეო უბნები, – თისელი, აწყური, ურაველი, ვალე, ოთა, ზედაველი და ძველი –ტყეთსარგებლობის მიზნით, 20 წლის ვადით ქართულ-ბელგიურ კომპანიას, შპს „თისელს“ გადაეცა. ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელი ინდივიდუალური მეწარმე ემილ რეინისია.

„მწვანე ალტერნატივასა“ და სოზარ სუბარის განცხადებით, აღნიშნული აუქციონი საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ჩატარდა. სხვა მოთხოვნებთან ერთად, დაირღვა კანონმდებლობის ის პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა უფლებას მიიღონ მონაწილეობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებსაც უშუალო ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ საცხოვრებელ გარემოზე.

ამასთანავე, სალიცენზიო პირობები ვერ უზრუნველყოფენ ტყის ეკოსისტემების დეგრადაციისაგან დაცვას (მითუმეტეს, რომ ტყის მოჭრის მიზნით ლიცენზია გაიცა განსაკუთრებით მაღალ კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულებებისა და ეკოლოგიურად სენსიტიურ ტყეებში) და უგულვებელყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს.

„მე თუ მკითხავ, ტყე დიდი ხნით არავის უნდა გადასცე“, - აცხადებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სატყეო სამმართველოს უფროსი მალხაზ გიქოშვილი

იგი აღნიშნულ თანამდებობაზე მიმდინარე წლის მარტში დაინიშნა. ამდენად, როგორც თავად აცხადებს, ლიცენზიის გაცემისას რა როგორ იყო, არ იცის: „თუ ტყე გასცეს, ალბათ, გეგმაც იქნება. 20-წლიანი იჯარით ტყის გაცემა არ შეიძლება მოხდეს გეგმის გარეშე, რომელშიც გაწერილი იქნება 20 წლის განმავლობაში რა როგორ უნდა გაკეთდეს ტყეში“.

მისივე განცხადებით, ჯერ რაღაც საკითხებია გასარკვევი, ამიტომ ლიცენზიის მფლობელები აქამდე ტყეში არ შესულან: „ერთი ხეც არ აქვთ მოჭრილი“.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სატყეო სამმართველოს ტყის მართვის განყოფილების უფროსის სიმონ პარუნაშვილის თქმით, ლიცენზიის მფლობელებს 670 კუბური მეტრი ათვისებული აქვთ, აქედან 412 კუბური მეტრი სამასალე ხეა: „მონიტორინგის განხორციელება წელიწადში ერთხელ მხოლოდ ჩვენ გვევალება, თუმცა ჯერ გაცემული ტერიტორია არ გაგვიკონტროლებია, რადგან ფაქტობრივად ტყეში არ შესულან; ძალიან ცოტა აქვთ ათვისებული“.

მისი განმარტებით, ტყეში აღნიშნული ხის რაოდენობა, გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში მოიჭრა: „მათ ტყეში შესასვლელად ბილეთებს ჩვენ რეინჯერები უწერენ. სწორედ ბილეთების მიხედვით დავადგინეთ, რომ 600-ზე მეტი კუბამეტრი ხე აითვისეს“.

როგორც ტყის მართვის განყოფილებაში აცხადებენ, ლიცენზიის პირობების მიხედვით, მფლობელს წელიწადში 20 000 კუბური მეტრი ხე უნდა აეთვისებინა. თუმცა აქვე იმასაც ამბობენ, რომ არც ლიცენზიის პირობები და არც ტყის შემდგომი განაშენიანების გეგმა სატყეო სამმართველოში არავის უნახავს.

„ჩვენ არანაირ პირობას არ ვიცნობთ. მარტიდან აქ ვმუშაობ და არავის არაფერი წარმოუდგენია“, - აცხადებს სიმონ პარუნაშვილი.

სატელეფონო საუბარში საჭირო დოკუმენტების არარსებობას სატყეო სამმართველოს იმჟამინდელი უფროსი თენგიზ ჩოჩიაც ადასტურებს. „მწვანე ალტერნატივას“ პროგრამა „ბიომრავალფეროვნების“ კოორდინატორის ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა, რომელსაც გააჩნია ტყითსარგებლობის ლიცენზია, ტყეკაფის ჭრის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს და ადგილობრივ სატყეო სამსახურთან შეათანხმოს ტყე-კაფის ათვისების ტექნოლოგიური რუკა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფართობის, რელიეფის, ნიადაგის, ჭრის ფორმის, მორის თრევის სახეების, ხე-ტყის ზედა საწყობის ადგილის, დასატვირთი მოედნის, ხე-ტყის საზიდი გზების განლაგების, ტყის ბუნებრივი განახლების უზრუნველყოფის, ეროზიისაგან დაცვის და ტყე-კაფზე არსებული მოზარდის შენარჩუნების შესახებ. ადგილობრივი არასამთვრობო ორგანიზაცია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი კავშირი „აწყური“ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის მიღმა დარჩენილი ენდემური და რელიკტური სახეობების კვლევა მონიტორინგს ახორციელებს. „აწყურის“ თავმჯდომარის ნანა ნათენაძის განცხადებით, ეკოლოგიური საფრთხის თვლასაზრისით, ყველაზე მძიმე მდგომარეობა თისელისა და ადიგენის ტყეებშია: „ქვეყანაში ყველაფერი ზევიდან ქვევით იცვლება. თუ კანონი არ შეიცვალა, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება“.

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლი ვაჟა ჩიტაშვილიც მიიჩნევს, რომ ტყე

მხოლოდ გარდაუვალი და აუცილებელი საჭიროებისთვის უნდა გაიცეს: „ტყე მოგების და გამდიდრების საშუალება არაა“.

სიმონ პარუნაშვილი გრძელვადიანი იჯარების დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრობს: „არის მიუვალი ადგილები, სადაც ხის ათვისება შეუძლებელია, ფიზიკურად გლეხი ვერ შევა. იქ კილომეტრი გზის გაკეთება 30 000 დოლარამდე ჯდება. გარდა ამისა, ბუნებისთვის გრძელვადიანი იჯარა უკეთესია. ერთწლიანი ლიცენზია ვისაც აქვს, ცდილობს მეტი სარგებელი ნახოს - ის ტყეს არ უვლის და განაშენიანებაზეც არ ზრუნავს“.

გრძელვადიანი ლიცენზიების უარყოფით მხარედ სიმონ პარუნაშვილი გლეხებისთვის სამასალე ხეზე ხელმიუწვდომობას ასახელებს: „თითქმის აღარაა ადგილი გლეხმა სამასალე ხე რომ მოჭრას. თუდეპარტამენტმა ფონდი დაუშვა მასალის მოძიება და დანომვრა გაგვიჭირდება“.

მისი თქმით, ტყე გრძელვადიანი იჯარით თუ არ გაიცემოდა, მაშინ ერთწლიანი იჯარით გადაეცემოდა სხვა ინდივიდუალურ მეწარმეებს: „იგივე ტერიტორია პატარ-პატარა ნაწილებად დაიყოფოდა და ისე გაიყიდებოდა“.

„მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განიხილება. სარჩელი 2007 წლის 12 სექტემბერს აუქციონის შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით იქნა შეტანილი. არსებითი განხილვა ჯერ არ გამართულა. „მწვანე ალტერნატივა“ სასამართლო დავას აღნიშნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტამდე გააგრძელებს.